

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

ქ. ქუთაისი

2019 წ.

ხელშეკრულების დადების საფუძველია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ააიპ ბაგა-ბაღების გაერთიანების მიერ ჩატარებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერი №**1. ხელშეკრულების დამდები მხარეები**

ერთი მხრივ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ააიპ ბაგა-ბაღების გაერთიანება, შემდგომში „შემსყიდველი“, მისი დირექტორის დავით წიტიანიშვილის სახით და მეორეს მხრივ _____, (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ სახით, (მისამართი: _____), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის და პრეტენდენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, ერთეულებზე გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 ააიპ „ქალაქ ქუთაისის ბაგა ბაღების გაერთიანების ფილიალებში“ გათბობის სისტემის დემონტაჟი და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 იანვრის №101 დადგენილების შესაბამისად მონტაჟის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.

2.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

2.3 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მომსახურების მიწოდება განახორციელოს ჯეროვნად, სატენდერო დოკუმენტაციის, სატენდერო წინადადებისა და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2.4 CPV კოდი: 71320000

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ----- (------) ლარს.

3.2 მომსახურების ფასი და ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს რაც დაკავშირებულია მომსახურების გაწევასთან, მათ შორის საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

5. მომსახურების გაწევის პირობები და ვადა

5.1 „მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს“ ააიპ „ქალაქ ქუთაისის ბაგა ბაღების გაერთიანების ფილიალებში“ გათბობის სისტემის დემონტაჟი და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 იანვრის №101 დადგენილების შესაბამისად მონტაჟის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და მიწოდება.

5.2 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ მითითებულ ობიექტზე გასვლა (ობიექტების ჩამონათვალი მითითებულია დანართი #1-ში.), საჭიროების მიხედვით, საჭირო ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობების დათვლა, შესაბამისი ტექნიკური დავალების შედგენა თითოეული ბაგა-ბაღის მიხედვით (ხარჯთაღრიცხვები, ნახაზები, ჭრილები, სიტუაციური გეგმები) და შემსყიდველისათვის გადაცემა, როგორც ბეჭდვითი ასევე ელექტრონული ფორმით.

5.3 წარმოსადგენი საპროექტო დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს:

1. განმარტებით ბარათს, (სადაც გამოკვლეული და ანგარიშის სახით წარმოდგენილი უნდა იქნას ობიექტის სამუშაოს თითოეული სახის დეტალური აღწერა, ამასთან ჩამოყალიბებული უნდა იყოს ამოცანის გადაჭრის გზები-მეთოდები/გადაწყვეტა, ამ გადაწყვეტილების ძირითადი პრინციპები, აღნიშნული გადაწყვეტის/მეთოდის

უპირატესობის დასაბუთება, გამოსაყენებელი ძირითადი მასალები და მანქანა-მექანიზმები, მათი შერჩევის პრინციპი და უპირატესობა).

2. დეფექტური უწყისი, სადაც მითითებული იქნება, როგორც ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობა, ისე საპროექტო გადაწყვეტილებების აღწერა.

3. პროექტს აუცილებლად უნდა ერთვოდეს პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების მოცულობითი და კრებსითი უწყისები, მასალების უწყისი.

4. ლოკალური და კრებსითი ხარჯთაღრიცხვები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით

5. მშენებლობის კალენდარული გეგმა-გრაფიკი.

6. პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს ფერად ტონებში 3 ეგზემპლარად ალბომის სახით. დოკუმენტაცია ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონულად CD/DWD დისკის საშუალებით, ფონტით - „Sylfaen”, ხოლო ლათინური სიმბოლოები - „Calibri”-ით (პროექტი – „PDF”, ხარჯთაღრიცხვა – „EXCEL” ფორმატში).

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას ჩაუტაროს ექსპერტიზა, აკრედიტირებულ საექსპერტო ორგანიზაციაში, რათა დადგინდეს შესაბამისობა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 იანვრის №101 დადგენილებასთან და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგინოს ექსპერტიზის დასკვნა.

5.5 მიწოდების ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან **40 (ორმოცი) კალენდარული დღე**.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება მხოლოდ სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ექსპერტიზის დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ, რომელიც გაცემულ უნდა იქნას აკრედიტირებული საექსპერტო ორგანიზაციის მიერ.

6.2 მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად, მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.3 ააიპ „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების“ გაერთიანების მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის დამოწმებაზე უფლებამოსილი პირია ააიპ ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორი დავით წიტიანიშვილი.

7. ანგარიშსწორების ფორმა და გრაფიკი (ვადები)

7.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. ლარებში

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულებიდან (შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებიდან) 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

7.3. დაფინანსების წყარო: ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

8.1 არავითარი ცვლილებები ან გადახრა ხელშეკრულებაში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 _ ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.2 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანდ და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს სხვა სუბიექტს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი ვალდებულებები.

8.3 ხელშეკრულების შესრულების პროცესში რაიმე ხელის შემშლელი გარემოებების წარმოშობისას მხარეებმა ურთიერთობა უნდა მოაგვარონ წერილობითი შეტყობინების გზით.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1 დაუძლეველი ძალის გარდა „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები: – ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი გადაიხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 30%-ის ოდენობით.

9.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ან/და არაჯეროვანი შესრულებისთვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს დაეკისრება საჯარიმო თანხის გადახდა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

9.3 იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;

9.4 ამ ხელშეკრულების 9.3 და 9.7.1 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, მხარეს რომელმაც არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 30%-ის ოდენობით მეორე მხარის სასარგებლოდ.

9.5 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, „მიმწოდებელი“-ს დაჯარიმების შემთხვევაში, „შემსყიდველი“ იტოვებს უფლებას ფაქტიურად მოწოდებული საქონლის ასანაზღაურებელი თანხა არ გადარიცხოს მანამ, ვიდრე „მიმწოდებელი“ არ გადაიხდის საჯარიმო თანხას და გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს არ წარადგენს გაერთიანებაში.

9.6 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი.

9.7 ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო:

9.7.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

9.7.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს დაუყოვნებლივ.

9.7.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1 მიღება ჩაბარების წინ განხორციელდება გაწეული მომსახურების შემოწმება, რომელსაც განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი უფლებამოსილი პირი/პირები.

10.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

10.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.

10.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

10.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ფილიალის ხელმძღვანელები.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებათა მკვეთრი

შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში იმ მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების დადგომის და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 მოცემული ხელშეკრულება ძალაშია გაფორმებიდან ხელმოწერის დღიდან და 30 (ოცდაათი) დღით აღემატება მომსახურების გაწევის ვადას.

12.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების 1 (ერთი) ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან“, 1 (ერთი) ეგზემპლარი „მიმწოდებელთან“.

13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
<p data-bbox="142 827 711 898">ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ააიპ ბაგა-ბაღების გაერთიანება “</p> <p data-bbox="94 905 500 936">მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის 3</p> <p data-bbox="94 968 431 999">ხაზინის ერთიანი ანგარიში</p> <p data-bbox="94 1031 756 1142">ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ააიპ ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორი დავით წიტიანიშვილი</p> <p data-bbox="94 1173 399 1184">-----</p>	